

შპს „თემა ივერიას“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
1. შესავალი	6
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	9
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება	10
4. ამონაგები	10
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10
6. მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	11
7. სხვა ხარჯები	11
8. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	11
9. ძირითადი საშუალებები	11
10. მარაგები	12
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	13
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
14. მოგების გადასახადი	13
15. დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ბალანსი და ოპერაციები	14
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	15

შპს „თემა ივერია“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 (ათასი ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,326	3,295
სულ გრძელვადიანი აქტივები		1326	3295
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	631,859	1,122,951
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	320,000	-
მინუს: გაუფასურება	12	(73,502)	(74,596)
მიმდინარე საგადასახადო აქტივი	13	3,423	12,633
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	1,803,171	1,939,495
წინასწარ გაცემული ხარჯი		73,492	74,596
სულ მიმდინარე აქტივები		2,758,443	3,075,079
სულ აქტივები		2,759,768.86	3,078,373.52
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		1,010,630	1,010,630
გაუნაწილებელი მოგება		1,726,615	1,602,665
სულ საკუთარი კაპიტალი		2737245.29	2,613,295
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	22523.57	465078.86
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		22,524	465,079
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,759,768.86	3,078,373.52

სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი

სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

შპს „კომპანიის სახელი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ათასი ლარი)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	4	648,085
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(497,108)
პერსონალის ხარჯები		
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	6	1,094
სხვა ხარჯები	7	(28,101)
საოპერაციო მოგება		123,971
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	8	(20)
მოგება დაბეგვრამდე		123,951
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		123,951

სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი

სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

შპს „თემა ივერია“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,010,630	1,602,665	2,613,295
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისათვის		123,951	123,951
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,010,630	1,726,615	2,737,245

სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი

სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

1. შესავალი

შპს თემა ივერია

შპს „თემა ივერია“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2014 წლის 15 მაისი. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, 50-50 %-იანი წილის მფლობელებს წარმოადგენენ - დიმიტრი რამიშვილი და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თემა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, წყნეთის გზატკეცილი, N 52, სართული 5, ბინა 9

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს

დაშვებაზე. უნდა აღინიშნოს რომ მენეჯმენტის შეფასებით, კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში შეჩერებული აქვს ეკონომიკური საქმიანობა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

მანქანა დანადგარები

3-4

ავეჯი და ინვენტარი

5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდოდ ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არასაფინანსო აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

სამშენებლო კონტრაქტებიდან შემოსავლის აღიარება ხდება დასრულების პროცენტული მაჩვენებლის მეთოდის გამოყენებით, რაც გამოითვლება ანგარიშგების თარიღისთვის ფაქტიური დანახარჯების პროპორციულად, მთლიან დაგეგმილ ხარჯებთან მიმართებაში, თითოეული კონტრაქტისთვის.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოდგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი

შპს „თემა ივერია“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის დეკემბერი
(ათასი ლარი)

მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

შპს „თემა ივერია“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის დეკემბერი
(ათასი ლარი)

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

სამშენებლო კონტრაქტის შესრულების პროცენტის შეფასება

კომპანია აღიარებს შემოსავალს სამშენებლო კონტრაქტების შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდამდე კონტრაქტზე გაწეული ხარჯის, მთლიანი კონტრაქტის განსაზღვრული ხარჯის წილის შესაბამისად და როდესაც ანაზღაურების მიღება საიმედოდ უზრუნველყოფილია. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ჩათვლის, რომ ოპერაცია ვერ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმს, შემოსავლის აღიარება გადაიდება პირობის შესრულებამდე.

შესრულების პროცენტის მეთოდი განისაზღვრება მენეჯმენტის მიერ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ა) შესაძლებელია მთლიანი კონტრაქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება; ბ) სავარაუდოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში; ც) შესაძლებელია როგორც კონტრაქტის მთლიანი დანახარჯის, ასევე კონტრაქტის დასრულების ეტაპის პერიოდის ბოლოს საიმედოდ შეფასება; დ) შესაძლებელია კონტრაქტის ხარჯის გარკვევით იდენტიფიცირება და კონტრაქტზე მიკუთვნება, ისე რომ შესაძლებელი იყოს რეალური კონტრაქტზე გაწეული ხარჯების შედარება წინა შეფასებებთან.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

4. ამონაგები

	2018
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	648,085
სულ	648,085

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

შპს „თემა ივერია“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის დეკემბერი
 (ათასი ლარი)

რეალიზებული თვითღირებულება 2018 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018
სამშენებლო კონტრაქტების შესრულების თვითღირებულება	(497,108)
სულ	(497,108)

6. მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი

	2018
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	1,094
სულ	1,094

7. სხვა ხარჯები

	2018
საგადასახადო ხარჯი	(1,435)
რემონტის ხარჯი	(4,360)
სხვა	(22,305)
სულ	(28,101)

8. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი

	2018
ფული და ფულის ეკვივალენტები	(20)
სულ	(20)

9. ძირითადი საშუალებები	მანქანა დანადგარები	სულ
2017 წლის 1 იანვარი	6,226	
შემოსვლა	1,398	
2017 წლის 31 დეკემბერი	7,624	
შემოსვლა		

შპს „თემა ივერია“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის დეკემბერი
 (ათასი ლარი)

2018 წლის 31 დეკემბერი	7,624
დაგროვილი ცვეთა	
2017 წლის 1 იანვარი	(1,938)
ცვეთის ხარჯი	(2,391)
2017 წლის 31 დეკემბერი	(4,329)
ცვეთის ხარჯი	(1,969)
2018 წლის 31 დეკემბერი	(6,298)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
2017 წლის 1 იანვარი	4,287
2017 წლის 31 დეკემბერი	3,295
2018 წლის 31 დეკემბერი	1,326

10. მარაგები

	31.12.2018	31.12.2017
ნედლეული და მასალები	631,859	1,122,951
სულ მარაგები	631,859	1,122,951
სულ	631,859	1,122,951

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	320,000	
წმინდა ფინანსური აქტივები	320,000	-
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(73,502)	(74,596)

შპს „თემა ივერია“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის დეკემბერი
 (ათასი ლარი)

წმინდა ფინანსური ვალდებულებები	246,498	(74,596)
--------------------------------	---------	----------

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2018	31.12.2017
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	73	498
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1,803,098	1,938,998
სულ	1,803,171	1,939,495

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	22,524	20,338
ფინანსური ვალდებულებები	22,524	20,338
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები		
სულ არაფინანსური ვალდებულებები	-	444,741
სულ	22,524	465,079

14. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთათვისაც აღნიშნული კანონი ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შევა. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილების გათვალისწინებით, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ფასები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 საშემოსავლო გადასახადის ფარგლებს მიღმა და დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ექვემდებარება იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განხორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორც წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არარსებობა არ დაფიქსირებულა (2016 წლის 31 დეკემბერი: არანაირი ვალდებულება)

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2016 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით: ნოლი).

15. დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ბალანსი და ოპერაციები

ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების საერთო მოცულობა, რომლებიც დაიდო შესაბამის დაკავშირებულ მხარეებთან.

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ განუხორციელებია.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „თემა ივერია“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 (ათასი ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,326	3,295
სულ გრძელვადიანი აქტივები		1326	3295
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	631,859	1,122,951
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	320,000	-
მინუს: გაუფასურება	12	(73,502)	(74,596)
მიმდინარე საგადასახადო აქტივი	13	3,423	12,633
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	1,803,171	1,939,495
წინასწარ გაცემული ხარჯი		73,492	74,596
სულ მიმდინარე აქტივები		2,758,443	3,075,079
სულ აქტივები		2,759,768.86	3,078,373.52
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		1,010,630	1,010,630
გაუნაწილებელი მოგება		1,726,615	1,602,665
სულ საკუთარი კაპიტალი		2737245.29	2,613,295
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	22523.57	465078.86
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		22,524	465,079
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,759,768.86	3,078,373.52

სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი

მკობიძე ანთონი
 სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

შპს „კომპანიის სახელი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ათასი ლარი)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	4	648,085
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(497,108)
პერსონალის ხარჯები		
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	6	1,094
სხვა ხარჯები	7	(28,101)
საოპერაციო მოგება		123,971
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	8	(20)
მოგება დაბეგვრამდე		123,951
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		123,951

სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი

ქაიხაზა აბიშვილი
 სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

შპს „თემა ივერია“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერი
 (ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,010,630	1,602,665	2,613,295
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისათვის		123,951	123,951
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,010,630	1,726,615	2,737,245

სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი

ბუბუაზ აბუშვილი
 სახელი გვარი - გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო